რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

103

# ერთობ[...]

№ 85 ორგანო ამიერ-კავკასიის [...]

გრძელდება ხელის მოწერა 1918 წლისთვის
ყოველ დღიურ გაზეთ
„ერთობა“-ზე
1 თვით — 6 მან. 50 კ. ცალკე № ყველგან 30 კ.
გაზეთის დაკვეთა შეიძლება შემდეგი მისამართით:
Тифлисъ почт. ящикъ № 199. РЕДАКЦІЯ „ЭРТОБА“
ამხ. და თანამგრძნობთ მხთხოვთ ხელის მოწერას ნუ დააყოვნებენ.

გულდათუთქულნი მშობლები გიგო, დედა ელისაბედ ჩხაიძის ასული დოლიძისა, შვილები ილიკო, სამსონ, თეოფილე, ერმილე, დები ტერეზი, ნატაშა, რძლები სონა და მარია, სიძეები ელიაზარ და ირაკლი, ბიძა ნოე, ბიცოლა ლიზა, შვილი მათი გრიშა დოლიძენი აუწყებენ ნათესავ-მეგობრებს და ნაცნობ-მოკეთეებს პირველი უსაყვარლესი შვილის და მეორენი ბიძაშვილის

## გიორგი გიგოსძე დოლიძის (პარუჩიკის)

კავკასიის ფრონტზედ გმირულად და შეუპოვრად უდროვოდ დაკარგვას, რომელიც მოხდა ხუთ აპრილს ნატანებ და ქობულეთ შუა დიდი ბრძოლის დროს. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული, პანაშვიდი გადახდილი იქნება სოფ. ამაღლებაში (გურია). (2—2)

გულდამწვარნი და თავზარდაცემულნი დედა ლიუდი ვანიძისა ქარცივაძის ასული, ლეონინე და ძმა მიხაკო, ბიძა დიმიტრი, ბიცოლა ნინო, ბიძაშვილები ვასილ, სანდრო, მარიამ, ემილი და ანეტა ვანიძეები, სიძეები თედორე ცხომელიძე, დათა გოგიბერიძე და ალექსანდრე დოლიძე, დეიდა ბაბილინე აბაშიძისა ქარცივაძის ასული, დეიდას შვილები ვასილ და ქეთო აბაშიძე, თენგიზ და თამარა ელენტები, დისწულები ჟულიეტა და გრიშა გოგიბერიძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ბათუმში ოსმალებთან ბრძოლაში გმირულად დაიღუპა პრაპორშჩიკი

## დათიკო ალექსანდრესძე ვანიძე

რომლის ტირილის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (2—1)

მომხ. საზ. „მოსავალის“ გამგეობა სთხოვს საზოგადოების წევრებს მობრძანდნენ

## საგანგებო კრებაზე

რომელიც შესდგება კვირას 10 საათზე სახალხო უნივერსიტეტის ბინაზე (მიხაილოვის ქუჩა № 91).

განსახილველი კითხვები:

1) გამგეობის მოხსენება საზ. მდგომარეობის შესახებ.
2) ხარჯთ აღრიცხვა 1918 წ.
3) არჩევა გამგეობის წევრის.

(2—1) პატ. გამგეობა.

## სავალდებულო დადგენილება

1) სახლის პატრონი ვალდებულია გაანათოს ეზო და საერთო კიბეები და აგრეთვე აანთოს ქუჩებში სახლის ფარნები მთელ იმ საათების განმავლობაში, რომლებიც დანიშნულია ქუჩების გასანათებლათ.

2) თუ რომ სახლის პატრონები სამი დღის განმავლობაში არ შეასრულებენ პირველი მუხლის მოთხოვნილებებს, განათება უნდა მოაწყოს თვითონ სახლის კომიტეტებმა სახლის პატრონების ხარჯზე და ამასთანავე ყოველი ასეთი შემთხვევა შეატყობინონ ქალაქის გამგეობას.

3) სახლის კომიტეტებმა თვალყური უნდა ადევნონ განათების საქმეს სახლის საზღვრებში, განათება აწარმოოს სახლის პატრონის ხარჯზე, ხოლო გაწეული ხარჯები აინაზღაურონ ბინების ქირის დაჭერით.

მეეზოვების და სახლის დარაჯების ინსტრუქციას ემატება შემდეგი სტატიები:

1) თუ რომ სახლის პატრონმა არ შეასრულა სავალდებულო დადგენილება და არ დაიქირა მეეზოვე, ეს უკანასკნელი უნდა დაიქირაოს სახლის კომიტეტებმა სახლის პატრონის ხარჯზე და დააკმაყოფილოს მეეზოვე ბინებიდან შემოსულ ქირით, მაგრამ სახლის კომიტეტები ამ შემთხვევაში მოვალენი არიან ყოველივე ეს აცნობონ ქალაქის გამგეობას.

2) მეეზოვები არიან სახლის კომიტეტების ზედამხედველობის ქვეშ და თუ მეეზოვები პირნათლათ არ ასრულებენ თავის მოვალეობას, ისინი დათხოვნილ იქნებიან სახლის კომიტეტების დადგენილებით და ეს ეცნობება სახლის პატრონს.

3) სახლის, ეზოს და სახლის წინ მდებარე ქუჩების სანიტარულ მდგომარეობას თვალყურის დევნება ევალება, როგორც ამ საქმესათვის სპეციალურათ მოწვეულ პირს, ისე სახლის კომიტეტებს.

4) სახლის კომიტეტებს უფლება ეძლევათ, საჭიროების დროს უბნის ზედამხედველისა და სანიტარულ ექიმის ნებართვით მიიღონ აუცილებელი სანიტარული ზომები და ყოველივე ამისგან გამოწვეული ხარჯები ანაზღაურდებიან სახლის პატრონისაგან.

(1—1) თფილისის ქალაქის გამგეობა.

ექიმი ბ. მ. მუხაძე

იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი ძთავრის ქუჩა № 67, აფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, [...] სვანიშვილისა. ტელ. № 5—77.

ექიმი კ. ი. გვარჯალაძე

შინაგან და ბავშვთა ხნეულებანი ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 5—6 ს., კვირა დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელ. 15—00.

ექიმი ქალი

რ. გ. შიუკო-საგაშვილი

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველდღე შინაგან, ქალთა და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხაბებით დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, სახლი № 82.

## ჩვენი რ[...]

ამიერ-კავკ[...]
პუბლიკას თ[...]
ერთი და ორ[...]
ბევრი ყავს შ[...]
გარეული.
შინაურობა[...]
ქრებენ პარტ[...]
რესებით ხელ[...]
ყოფილონი, ბ[...]
დამდგარნი შ[...]
ელემენტები.
სის ხალხის [...]
რეაქციონური[...]
კავკასია თავ[...]
დათ. ჩვენ არ[...]
ვაჟბატონების[...]
სიტყვიერი დ[...]
დაკმაყოფილე[...]
ეცდებიან იარ[...]
გილობრივ ხა[...]
თავის სურვი[...]
რუსეთს და ა[...]
თარ დამოუკი[...]
მოებაზე.
მეორე მხრ[...]
ხელმწიფოები[...]
მომართული.
უკან მდგომ[...]
ნერწყვმომდგ[...]
ლუკმას და მ[...]
პონ. ამიერ-კ[...]
კოლონიათ გ[...]
საგნათ აქვთ [...]
ამიერ-კავკ[...]
პუბლიკამ, ახ[...]
სო ოჯახისა, [...]
გაუძლოს, ორ[...]
ლოს, ორივე[...]
ლოდ მაშინ [...]
არსებობას [...]
მელიც რევო[...]
ძინა.
ამიერ-კავ[...]
ლიუციის მ[...]
რევოლიუცი[...]
მისი მონაპო[...]
დღეს სახელ[...]
რუსეთ, ეს [...]
ჟამათ დაპა[...]
ბალშევიზმი[...]
კათ იქცა.
ამ რეაქც[...]
შინაურმა შ[...]
მოკრატიის [...]
მთლიანი ფ[...]
რევოლიუცი[...]
ხებლად. და [...]
რეაქციონურ[...]
ვერავ[...]ნ ი[...]
ტიას უარყ[...]
ციური დემო[...]
ნაბიჯი გამო[...]
სა, გამოწვეულ[...]
შევინარჩუნოთ [...]
დიდი რევოლი[...]
სეთში უკვე ს[...]
ამიტომ სულიერ[...]
ისევ რუსეთის [...]
წარმოვადგენთ.
იმავე დროს რ[...]
მტრებიც არიან.
ერთი და იგ[...]
ლე და მოწინა[...]
ანარქია და გარე[...]
კონტრ რევოლიუც[...]
ხის და ჯირის. ერ[...]
ტიის შეიძლება მაც[...]
სიტყვებით დაბრმ[...]
ღრმათ გვწამს, რომ [...]
კვევა, და როგორც ფ[...]
ძვის, ისე არც ჩვენს [...]
ბელ რესპუბლიკას შ[...]
სამიშროებას წარ[...]
თავზე ხელაღებული ბ[...]
შაგრაზმეთებთან შეს[...]
გარედან მომდგარი მ[...]
ეს ორი ძალა ერთ[...]
ორი მხრიდან ჩვენს მხა[...]
რებას უქადის.
ორივე ძალა ერთბაშ[...]
გორც დამოუკიდებლობი[...]
ლების წინაალმდეგ. ამ [...]
დამოუკიდებლობისათვის [...]
ლაი თავისუფლებისთვის.
მხოლა გამოიწვევს მეორე[...]
და ჩვენი ვალია ორივე დ[...]

საკონსულოს ცნობით მოსულში მდგარ ოსმალთა ჯარის უფროსმა აპრილის 2 ს ქ. ხოის გუბერნატორს შეატყობინა, რომ ზოგიერთმა სომეხმა ისარგებლა რუსეთის რევოლიუციით და დამოუკიდებელ სომხეთის შექმნა უნდათ ოსმალეთის მიწა-წყალზე. ამ ჟამათ არც ერთი სომეხი არ არის, ზოგი რუსეთში გაიქცა, ზოგი სპარსეთში დასახლდა. ამის გამო ოსმალთა ჯარის სარდალი სთხოვს ხოის გუბერნატორს შეატყობინოს მას, რამდენი სომეხია ამ ჟამათ ხოის, სალმასის და ურმიის რაიონებში. სპარსელმა გუბერნატ. უპასუხა, რომ სპარსეთის სომხები მუდამ ლოიალურად იქცევოდენ სპარსეთის მთავრობის მიმართ, ვაჭრობას მისდევენ და არაფერს მოიმოქმედებენ ოსმალეთის ინტერესების საწინაალმდეგოდ, ხოლო რაც შეეხება ახლად გადმოსულ ოსმალელ სომხებს, ამათ ყველას რუსეთში წასვლა სურთ და ამაში მათ ყოველგვარ დახმარებას აღმოუჩენს სპარსეთის მთავრობაო.

✦ **გორის ქალაქის თავმა** ქალაქის უკიდურ ფინანსიურ მდგომარეობის გამო მთავრობას სთხოვა გორის ქალაქის თვითმართველობას 25,000 მან. მისცეს გრძელვადიან უპროცენტო სესხის სახით. საკითხი სეიმს გადაეცა განსახილველათ.

✦ **რკინის გზაზე.** რადგანაც აღმოსავლეთის ნაწილში რკინის გზებზე თავდასხმა გრძელდება მთავარმა სარკინისგზო კომიტეტმა სთხოვა მთავრობას, რომ კომიტეტის განკარგულებაში გადასცეს 2 ჯავშნიანი მატარებელი; ამასთანავე ყველა ჯავშნიან მატარებლების უფროსად უნდა დაინიშნოს ერთი პირი, რომელიც მუდმივად თბილისში უნდა იყოს.

✦ **ქართული კლუბის წევრთა** საერთო კრებამ დაადგინა წარსული წლის შემოსავალი კლუბისა ასე გაანაწილოს: ქართველ მხედართა კავშირს—35 პროცენტი მთელი შემოსავლისა, 55000 მან. საქართველოს ეროვნულ საბჭოს; ქართველ ტეხნიკოსთა საზოგადოებას—2,000 მ., კათალიკოსის საბჭოს, ქართული უნივერსიტეტის სტუდენტთა გამგეობას—1000 მან., ქართველ გადმოხვეწილებს—3000 მან., ქართულ სახელმძღვანელოების გამომცემელ საზოგადოებას—2000 მან., ეტნოგრაფიულ საზოგადოებას—15,000 მან. უკანასკნელი გადაიდება მიმდინარე წლის შემოსავლიდან.

**შეცდომის გასწორება:** გუშინდელს ჩვენს გაზეთში—წერილი რედაქციის მიმართ—ნოდეს წერილში გამოტოვებულია სათაური—**ღია წერილი მასწავლებელ ილარიონ ივანოვს.**

**კრებები და მიტინგები.**

დღეს, საღამოს 7 საათზე სასახლის თეთრ დარბაზში დანიშნულია კავკასიის გაერთიანებულ ცენტრის სხდომა. დღის წეს-რიგი: 1) ომი და ზავი, 2) ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა და 3) მიმდინარე საქმეები.

— დღეს, 13 აპრილს, საღამოს ხუთ საათზე შესდგება მეოთხე რაიონის ქალთა სოციალდემოკრატიული ორგანიზაციის კრება (უდელნაია № 3). ვთხოვთ ამხანაგებს ნუ დაიგვიანებენ.

# ქაღალდის ფული

რაც დრო გადის ქაღალდის ფული ელვის სისწრაფით ეცემა და ბრესტლიტ. საზავო ხელშეკრულობამ კიდევ უფრო დააჩქარა ეს პროცესი. რუსეთის ნაწილებიდან შემდგარ „დამოუკიდებელ“ სახელმწიფოს ახალი მთავრობები დაუყოვნებლივ შექმნიან საკუთარ ვალიუტას. იგინი გამოუშვებენ საკუთარ უკრაინის, ლიტვის, პოლონეთის და სხვების ფულებს. ამ ქვეყნების მცხოვრებთ წინადადებას მისცემენ ახალ ხაზინებში გადასცვალონ ახალი „ეროვნულ“ ფულებზე რაც რუსული ქაღალდის ფულები აქვთ. ამ გვარათ ამ მთავრობების ხელში მოგროვდება აუარებელი (არა ნაკლებ 4—5 მილიარდი მანეთისა) რუსული ფული და რასაკვირველია ამ ფულებს არ დასწვავენ, არამედ იყიდიან რუსეთში საჭირო საქონელს. ამ გვარათ რუსეთმა უნდა მისცეს დიდი კონტრიბუცია არა მარტო გერმანიას, არამედ თავის ყოფილ ნაწილებს. ამის გამო რუსეთის ბაზარზე თავს მოიყრის აუარებელი ქაღალდის ფული.

ამას დაუმატეთ ისიც, რომ ახლა ხმარებაშია 32 მილიარდი მანეთის ქაღალდის ფული, ყოველ თვე გამოდის 3—4 მილიარდი, საქონლის წარმოება და მიწოდება საგრძნობლად შემცირდა და თქვენთვის აშკარა იქნება, რომ რუსეთის ქაღალდის ფულს სული ხდება. 3—4 თვის შემდეგ რუსეთში შეგროვდება 50 მილიარდი მანეთი ქაღალდის ფული და სულ ადვილათ შეიძლება იან სულ მთლათ დაჰკარგოს ფასი.

ამაზე დროით უნდა იფიქრონ. თუ ქაღალდის ფულს ფასი დაეკარგა, საქონლის პატრონები, ვაჭრები, გლეხები და სხვები გულდამშვიდებით იქნებიან. ხოლო მუშები და მოსამსახურეები ცუდ მდგომარეობაში ჩაცვივდებიან: თუნდაც მათ დღეში ასი ორასი მანეთი ქონდეთ შიმშილიდან თავს მაინც ვერ იხსნიან. თუ ამ მდგომარეობას მზათ არ დავხვდით ამ კლასებს საშინელი უბედურება მოე-ლით.

ამიტომ უპირველეს ყოვლისა ბოლშევიკების „ოქროს“ პოლიტიკას არავითარი აზრი არა აქვს. კონფისკაციები, ნაციონალიზაცია და სამადნოების შეჩერება მეტათ მავნებელია. წინაალმდეგ დადგა დრო, როდესაც ერთათ ერთი ხსნა ის არის, რომ ნება დართონ და ხელი შეუწყონ შემდეგს: სახელმწიფო აშკარათ სცნობს, რომ ოქროს მანეთი თანდათან იწევს ქაღალდის ფულთან შედარებით. ოქროს მანეთი შეურყეველ ღირებულებას წარმოადგენს, ხოლო ქაღალდის ცვალებადს. ამიტომ საქონლის გაყიდვის ან სამუშაო ძალის ფასი ოქროთი უნდა აღნიშნონ.

ამას ყველაზე მეტი მნიშვნელობა აქვს მუშათა კლასისათვის. სამუშაო ქირის ოქროთი აღნიშვნა ნიშნავს იმას, რომ ამით რამდენათმე უზრუნველყოფილი ვიქნებით თუ ქაღალდის ფული სულ დაეცა. დეე ხელშეკრულობაში აღნიშნული იყოს, რომ დღეში აძლევენ მანეთნახევარს ოქროს ფულით.

მაშინ მუშა მიიღებს დღეს 15 მანეთს ქაღალდის ფულს, ერთი თვის შემდეგ 18 მანეთს, ორი თვის შემდეგ 27 მანეთს და სხვა.

რა მოუვა ხაზინას? იკითხავს მკითხველი. მაგრამ ხაზინა ხომ წინანდებურათ ქაღალდის ფულებს გამოუშვებს. ოქრო მაშინაც ცოტა იქნება ხმარებაში. ანგარიში იქნება მხოლოდ ოქროზე, რაც სამეურნეო ურთიერთობას განამტკიცებს. მაგრამ სახელმწიფოს შეძლება მიეცემა თავის შემოსავლის მთელი რიგი ოქროთი მიიღოს, როგორც მაგალითათ ბაჟი, გადასახადი, საიჯარო გადასახადი და სხვ. ეს რამოდენიმეთ მაინც გადაარჩენს ბიუჯეტს სრულ დანგრევისაგან და ხელს შეუწყობს სახელმწიფოს გადავიდეს უფრო მტკიცე ნიადაგზე. („ნ. ლ.“).

# თავდაცვა გარეშე მტრისაგან

**ოზურგეთს** ოსმალეთის ჯარი მოადგა, ორი ზარბაზნით და ტყვიისმფრქვევლებით.

7 აპრილს ბახვის საზოგადოებაში ხელმძღვანელებმა ცნობა მიიღეს, რომ დაგვეხმარეთო.

ბახვიდან საღამოს ათ საათზე ოზურგეთისაკენ წავედით. შტაბში როცა მიგვიყვანეს. გვინახულა პოლკოვნიკმა და გაგვაგზავნა აფ. ინწკირველთან, რომელიც იცავდა მდინარე ჟუჟის აღმოსავლეთით განაპირას.

მივედით მასთან, მაგრამ მას სახეზე დაღვრემილება ეტყობოდა; მან ნაღვლიანი კილოთი გვითხრა: საქმე წაგებულია, ჩვენი ჯარი უკვე მოეხსნა და თქვენ რას გახდებით, გირჩევ ისევ უკან გაბრუნდეთო და წამოგვიყვანა.

როცა გამოვიარეთ რამოდენიმე მანძილი აფ. ინწკირველი შეაჩერეს და სთხოვეს: ჩვენ გაგვიწიეთ ხელმძღვანელობაო, მიგვიყვანეთ სასროლათ, იქნებ შევაჩეროთ მტერი გამოლაშქა გამოსვლაზეო.—აფიცერმა უარი ვერ სთქვა, მან განაცხადა: თქვენ თუ კი რამეს შესძლებთ, მეც უკანასკნელ წუთამდე თქვენთან ვიქნებიო.

მაშინ დაუძახა აფიცერ ილ. დოლიძეს და უთხრა: შენ წაიყვანე ნაწილი ამ ჯარის, დაიცავი მე რომ გითხრა ის „პოსტი“, ნაწილს მე წავიყვანო. ორათ განაწილებული მიადგენ ჟუჟის პირს და ჩასხდენ საფრებში და დაუწყეთ თოფების სროლა.

ჩვენი მხრით ტყვიისმფრქვეველები და ზარბაზნები არ მოქმედებდენ. მტერს კი ორივე ეს ჰქონდა და წვიმასავით გვიშენდენ ტყვიებს, მაგრამ ჩვენი მხრით არავინ დაჭრილა. დილის შვიდ საათზე ოსმალებმა მდ. ჟუჟაც გადმოლახეს. როცა გამოსასვლელათ წყალზე მოადგენ, ჩვენებმა დიდი ზარალი მიაყენეს, მაგრამ ისინი მაინც გამოვიდენ.

ჩვენ მაშინ უკან დავიხიეთ სოფ. მელექედურისკენ. აქაც ოზურგეთის ქვედა მხრიდან „მოიდაიახეს“ სოფელს თათოები შემოსეოდენ, გაცხარებული სროლა იყო. მინდოდა ჩვენებთან შეერთება, მაგრამ ტყვიას ისე აფრქვევდენ, რომ შეუძლებელი იყო მისვლა. სახამ მელექედურის სოფელში გამოვიდოდით, ტყვიის ზუზუნი ყურს გვიყრუებდა. ოსმალები მელექედურზე არ გამოსულან, ისევ ოზურგეთში დაბრუნდენ—დაიკავეს მთელი ბაზარი. თოფების სროლაც შეწყდა. მცხოვრებლები ყველაფერს სტოვებდენ, დასამიზნავათ გარბოდენ. მეორე-მესამე დღეს ჩვენებმა ოზურგეთზე ისევ შეტევა დაიწყეს.

**ივაკი გიორგაძე.**

# რუსეთის ამბები.

**პეტროგრადის ფაბრიკა-ქარხნების მუ**შათა წარმომადგენლების კონფერენციამ შემდეგი რეზოლიუცია გამოიტანა: ქუჩებში და სახლებში, დღისით თუ ღამით ყოველ დღე მკვლელობას აქვს ადგილი ჰკლავენ არა თავდამსხმელებს, არც თავდამსხმელები ჰკლავენ ვისმე, არამედ—საბჭოს მთავრობის პასუხისმგებელი აგენტები ხოცავენ ხალხს. თითქოს იმიტომ

ჰკლავენ ხალხს, რომ ამით ისინი ებრძოდენ კონტრ რევოლიუციას. ჰკლავენ ხალხის მტრებს კი არა, არამედ—მშვიდობიან მოქალაქეთ—მუშებს, გლეხებს, სტუდენტებს, ჯარისკაცებს. ჰკლავენ ჩვენი სახელით, რევოლიუციონური პროლეტარიატის სახელით. ჰკლავენ გაუსამართლებლათ, საქმის გამოუძიებლათ—ჩვენ, პეტროგრადის მუშების წარმომადგენლები მთელი რუსეთის წინაშე ვაცხადებთ, რომ ასეთი მკვლელობები ჩირქსა სცხებენ რევოლიუციის ღირსებას, დემოკრატიას, სოციალიზმს. ჩვენ ზიზღით ვიშორებთ ყოველგვარ პასუხის მგებლობას ამ საქმეში, რასაც შეუძლია წაუშლელი დაღი დაასვას ჩვენს სოციალისტურ დროშას. ჩვენ მოვუწოდებთ ყველა მუშებს და ყველა პატიოსან ხალხს შეუერთდენ ჩვენს აღშფოთებას და პროტესტს. მოვითხოვთ ამ გვარ მხეცურ მკვლელობათა დამნაშავების საზოგადოთ გასამართლებას.

**ტაგანროგი.** ალექსეევოში მოვიდენ ვინტოვკებითა და ტყვიისმფრქვეველებით შეიარაღებული 25 „ანარქისტ—კომუნისტი“. ჯერ ისინი შეუდგენ მემამულეების გაძარცვას; პირველათ გაძარცვეს მემამულე მალკოვსკი, წაართვეს ყოველივე ღირებულება, ცხოვრეს მასთან რამდენიმე დღის განმავლობაში, სვამდენ და სჭამდენ. (განსაკუთრებით შეექცეოდენ ღვინოს) მძიმე ნივთები, რომელთა წაღება ვერ შესძლეს, გააფუჭეს, მიუხედავათ გლეხებისა და მუშების თხოვნისა, რომლებსაც ბრბოს მოსვლამდეც გადაწყვეტილი ჰქონდათ გადაეკეთებიათ მალკოვსკის მამული საავათმყოფოთ. გაძარცვისა და დარბევის შემდეგ დასტოვეს მალკოვსკის მამული, თან წაიყვანეს „ტყვეთ“ ლამაზი მოსამსახურე ქალები. შემდეგ გაძარცვეს მემამულე ბურუცკი. ამის შემდეგ მძარცველებმა მიყვეს ხელი დანარჩენ მცხოვრებთა დარბევას, ვინაიდან გუბერნიაში მეტი მემამულეები არ მოიპოვებოდა. გაჩხრიკეს მცხოვრებნი, სამღვდელოება, შემდეგ გლეხები. ჩხრეკის მიზნათ გამოაცხადეს „ქონების გადასინჯვა“, მიჰქონდათ ყველაფერი, თითქმის სანადირო თოფიც. ბრბოს მოქმედებამ ისე აღაშფოთა მცხოვრებნი, რომ ადგილობრივ ბალშევიკების ლიდერი ღამით გაიპარა მახლობელ სოფელში, სამხედრო—რევოლიუციონურ კომიტეტთან თავის დასაცავათ. ამ დროს მძარცველებმა გაიგეს, რომ ალექსეევოში სცხოვრობდა რ. ს.-დ. მ. პ. ხარკოვის საოლქო კომიტეტის წევრი ალექსეევი და გაგზავნეს მასთან სამი თავისი ამხანაგი. ალექსეევს ისე სცემეს, რომ არავინ იცის ცოცხალი გადარჩება თუ არა. ნაძირალები როცა მიდიოდენ, ამბობდენ, სულ მოკვლა არ არის საჭირო, თვითონ ჩაძაღლდებაო.

სალამოს სოფ. ჩისტიაკოვიდან მოვიდა კიდევ ერთი რაზმი, ამ ბრბოს თავდასხმის შემდეგ გლეხებმა, რომლებიც ვერ ერკვევიან მომხდარ ამბებში, ყველაფერში ბრალი მაღაროს მუშებს დასდვეს და გამოიტანეს შემდეგი განაჩენი: 1) მუშებთან არაფერი საერთო არ გვაქნეს და შევკავშირდეთ ცალკე; 2) გააძევონ სოფლიდან ყველა მუშები, რომლებსაც ბინები აქვთ დაქირავებული; 3) ნახშირის დამტარებელთ აეკრძალოს მაღაროებიდან ნახშირის წამოღება დაჯარიმების შიშით. გაბოროტებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია.

## წერა-კითხვის საზოგადოება

კვირას, 29 აპრილს, დღის 12 საათზე, ახალი კლუბის დარბაზში დანიშნულია ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების რწმუნებულთა საზოგადო კრება. განსახილველი საგნები: 1) 1916—1917 წლების საზოგადოების გამგეობის მოქმედების ანგარიში (§ 18). 2) სარევიზიო კომისიის მოხსენება. 3) მთავარი გამგეობის მოხსენება საზოგადოების სამოქმედო გეგმის შესახებ. 4) 1918 წლ. ხარჯთ-აღრიცხვა, 5) მთავარი გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევა (პარ. 17, 31). 6) სასკოლო, ბიბლიოთეკებისა და სახალხო კითხვების მომწყობი, წიგნების გამომცემელი და სამუზეუმო სექციათა არჩევნები. საზოგადო კრებას ესწრებიან განყოფილებათა რწმუნებულები (თანახმად წესდების მე 15 მუხლისა). რწმუნებულებს მიეცემათ კრებაზე შესასვლელი ბილეთები. პროვინციებიდან ჩამოსულმა რწმუნებულებმა უნდა წარმოადგინონ სათანადო საბუთები იმის დასამტკიცებლად, რომ ისინი ნამდვილად არჩეულნი არიან რწმუნებულებათ.

## საად.-მამულო რეფორმა

**ნაფარეულის საზოგადოების** (თელავის მაზრა) კრებას მთელი სოფელი დაესწრო. კრების მოწვევის მიზანი იყო, რომ აერჩიათ მიწა წყლის კომიტეტები. თავმჯდომარეობს ნოე ლეჟავა. პირველ მოხსენებას აკეთებს მიწათა სამინისტროს რწმუნებული გიორგი თევდორაშვილი. ვრცლათ შეეხო მიწის საკითხს, თუ როგორ ჩამოერთმევათ მემამულეებსა მიწები და დაურიგდებათ უმიწამწყლო გლეხებს. თევდორაშვილი ეხება სამს უმთავრეს საკითხს: 1) მიწის საკითხს; 2) გარეშე მტერი; 3) შინაური მტრისაგან თავდაცვა. მოუწოდებს ყველა მოქალაქეთ, რომ თუ არ წავალთ ფრონტის გასამაგრებლათ, დიდი განსაცდელი მოგველის, ჯერ ჩვენ სისხლით მოპოვებულს თავისუფლებას და მერე ჩვენს სამშობლოს—საქართველოს. ილაპარაკა მობილიზაციაზე და 18 წლიდან 28 წლამდე წასვლა აუცილებლათ საჭიროა, თუ არ წავლენ ეს ამხანაგები და არ გაამაგრებენ ფრონტს, თუ არ შევადგენთ რაზმებს შინაურ მტრებისაგან თავდაცვისათვის, ყველაფერი ხელიდან გამოგვეცლება. შემდეგ ლაპარაკობს ლეჟავა სახელმწიფო ტყეებზე და საუფლისწულო მამულებზე. თურქესტანიშვილი ეხება გადასახადებს, განმარტავს თუ რა არის ერობა, ან რა უნდა გაგვიკეთოს მან.

გ. კახელი.

## ჯავშნიანი მატარებელი № 1.

(თფილისიდან ნახიჩევანამდე).

(გაგრძელება)

მივდივართ გზებში, უკვირდები გარშემო გადამწვარ სოფლებს, სადგურებს და თვალზე ცრემლი მადგება და რაღაც იდუმალი ხმა ყურში ჩამჩურჩულებს: განა იმისთვის შესწირა ხალხმა თავი თავისუფლებას, რომ მიწასთან გაესწორებიათ საუკუნოებით შექმნილი სიმშვენიერე, ადამიანთა თავშესაფარი შენობები და შრომის შემამსუბუქებელი მანქანები?

სამწუხაროთ თვითმპყრობელობის აგენტები დღესაც დათარეშობენ ხალხში. გულუბრყვილო ხალხი ვერ ამჩნევს ცხვრის ტყავში გახვეულ მგლებს და ამიტომ სადაც ნაკლებია შეგნება, იქ ყველგან იღვრება უმანკო სისხლი და გონება დაკარგული ბრბო, როგორც ნიკოლოზის აგენტები 1905-ში, ისე ანადგურებენ ყველაფერს. მართლაც 1905 წლის სურათს მოგაგონებთ განსაკუთრებით ულუხანლუ-ნახიჩევანის რაიონი. გადამწვარი და განადგურებულია სოფლები, დარბეულია ფაბრიკა-ქარხნები.

ეხლა გავყვეთ გზა და გზა და აღვნიშნოთ, რაც-კი საყურადღებო შეგვხვდა.

24 მარტს, სალამოს, შევედით სად. კამარლიუში. ეს სალამო ნამდვილი დღესასწაული იყო. სადგურზე აუარებელ ხალხს მოეყარა თავი ჯავშნიან მატარებლის მოლოდინში. აქვე შემოგვეგებენ სპარსეთიდან სამხედრო წესით ჩამოსული ამხანაგები: კალ. ჩხეიძე, ზუბურიშვილი, ახვლედიანი და სხვები, რომლებსაც ჩვენ ვიცავთ.—ჩვენი მოგზაურობის შესახებ იმათაც კი გამოსთქვეს თავისი აზრი. შემდეგ წავედით სოფელ კამარლუში. მივედით ფოსტაში, რადგანაც პირდაპირი მავთულით უნდა დაგველაპარაკებოდენ თფილისიდან, მაგრამ სასახლეში არ ეცალა აპარატს. ამიტომ ჩვენ მოგვიხდა დაცდა. ღამის 12 საათი იყო, ჩვენ შევეცადეთ თფილისთან კავშირის აღდგენას, მაგრამ სად. ერევანმა დაიკავა აპარატი და შემდეგი დეპეშა გადმოსცა: „კამარლუ. ნაციონალურ საბჭოს. გადაეცით ზუბურიშვილის რაზმს, რომ თფილისიდან არის განკარგულება, რომლის თანახმათ უნდა ჩამოერთვას მას ყველაფერი. თვითეულ რაზმელს დაუტოვებენ მხოლოდ თითო თოფსა და რევოლვერსო“. ამ ამბავმა დიდი აღელვება გამოიწვია ამხანაგებში; ეს ჩვენ ვაცნობეთ მთავრობას. 25 მარტს დილით ადრე უნდა გავსულიყავით კამარლუდან, მაგრამ ჩამოსულ ამხანაგებმა გვთხოვეს სანამ ჩვენს საქმეს არ გამოარკვევთ, ნუ მიგვატოვებთ, რადგან ჩვენ აქ უფრო საფრთხეში მიგვაჩნია ჩვენი თავი, ვინემ ქურთთა შორისო. არც პურს გვაძლევენ და არც ფული გვაქვს, რომ ოთხმოცი მანეთი ვაძლიოთ ფუთ პურში. როდესაც პურს ვთხოვთ, ტყვია მოგვეცითო, გვეუბნებიან და მაშინ მოგცემთ პურსო და სხ. ისე აღელვებული იყვენ ამხანაგები, რომ ჩვენ იძულებული გავხდით ანგარიში გაგვეწია მათთვის. 25 მარტს, დილის რვა საათზე მოვიწვიეთ ნაციონალურ საბჭოს წარმომადგენელი, კომისარი და სხვები და მივეცით წინადადება, რომ მიეცათ პური ხალხისთვის და თფილისიდან მთავრობის განკარგულების მიღებამდე არავისათვის ხელი არ ეხლოთ. ამაზე ყველამ თანხმობა განაცხადა და ჩვენც გავუდექით გზას. გავსცილდით რამოდენიმე ვერსით კამარლუს. შევედით მუსულმანთა სოფელში, შირაზლუში, სადაც ჯავნიან მატარებლის დანახვაზე აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი თეთრი ბაირაღით და გვითხრეს, ჩვენ გვეგონა სომხების ეშელონები მოდიოდენ და გზა უნდა აგვეყარა. ასეთი ბრძანება გვქონდა ქურთების რაზმის უფროსისგანო. რწმუნებულმა ამიღო და გადმოგვცა ის მოწერილობა, რომელიც ვეზიროვმა წაიღო, მაგრამ როდესაც ჩვენ ავუხსენით ჩვენი მიზანი, მათ სახე გაუბრწყინდათ და თვალცრემლიანი შემოგვყურებდენ და გვეუბნებოდენ: ჩვენ გვეგონა სომხების დასახმარებლათ მოხვიდოდით, თურემ აბა ნახეთ თუ თვით ჩვენ არ დავიცვათ გზა და არ დაგახვედროთ ისე, როგორც არისო. ჩვენც სიამოვნებით გამოვემშვიდობეთ მათ. დაურიგეთ ხალხს სეიმის მოწოდება, რომელსაც ისე დაეწაფენ, ვით თაფლს ფუტკარი და უკითხავდენ ერთმანეთს და იძახოდენ: ტელეგრამა, ტელეგრამაო.

რადგანაც გზების აყრის შემდეგ პირველათ ჩვენ მოგვიწია ჯავშნიანი მატარებლით მგზავრობა და არ ვიცოდით, თუ სად როგორ იყო გზა გაფუჭებული, ამიტომ ძლიერ ფრთხილათ მივდიოდით წინ. შირაზლუს ახლოს რელსი დაედვათ გზაზე მატარებლის გადმოსაგდებათ. რომ შევეკითხეთ: რატომ ქენით ესო, გაგვიმეორეს ის, რაც ზემოთ მოვიხსენიეთ—სომხების ეშელონი მოდიოდა გვეგონაო. მივდივართ მუსულმანთა სოფლებში, ვუცქერით ტელეგრაფ ტელეფონების ბოძებს და ვხედავთ, რომ ტელეგრაფის მავთულები სულ გაფუჭებულია. ბოძები გადაზნექილია. ცოტა ხნის შემდეგ შევედით სომხების სოფელში, დავალუში. აქაც აუარებელი ხალხი გვხვდება წინ, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ სომხების ჯარისკაცები იცავენ თავ-თავიანთ ახლო-მახლო მდებარე გზებს და სიხარულით გვაცილებენ. გავცილდით რამოდენიმე ვერსით დავალუს და შეგვხვდა დამწვარი ხიდები. შევაკეთეთ ხიდეები. მივედით სადგ. არარატში. იქ უნდა მიგვეღო ცარიელი ვაგონები ხალხის გამოსაყვანათ, მაგრამ ვაგონები ვერ მივიღეთ. ამიტომ გამოვბრუნდით კამარლუსაკენ მეორე დღეს ე. ი. 26 მარტს და გავიგეთ, რომ ვაგონები გამოეგზავნათ, მაგრამ მატარებელი გზაში დაეჯახებოდა ორთქლმავალს, რომელიც თავის ნებით წამოეყვანა ერთ სომხის ჯარისკაცთა უფროსს. დაზიანდა ორივე ორთქლმავალი. 27 მარტს ისევ გაუდექით გზას. მოგვიხდა ხიდეების შეკეთება. მივედით სადგურ არაზდაიანში. აქ ჩვენს წინ გაევლო სომეხ ჯარისკაცებს, რომელთაც გაერეკათ ქურთები. გზის ახლო მდებარე ორი პატარა სოფელი იწოდა. აქ ქურთებს წინააღმდეგობა გაეწიათ ჯარისთვის. ამ ჯარის ნაწილი არტილერიით იდგა სოფელ სარდარაკში, სადაც დიდი შეტაკება მოსვლოდათ როგორც ადგილობრივ მცხოვრებთან, ისე ქურთებთან. იყვენ დაჭრილ-დახოცილები. ამ ჯარის გაგზავნის მიზეზი ყოფილა ის, რომ იმ ხანებში იქ მისულა სამშვიდობო დელეგაცია სომეხ-მუსულმანთაგან შემდგარი. ხალხს უთხოვია დელეგაციისათვის თუ ძალა არ გამოგზავნეთ და არ გაგვარეკიეთ აქედან სპარსეთის ქურთები, რომლებიც უმოწყალოთ გვძარცვავენ და გვაწიოკებენ ისე წესიერება არ დამყარდებაო. როგორც გამოირკვა, ქურთებთან ერთათ, რამოდენიმე მშვიდობიანი მცხოვრების სახლ-კარიც განადგურებულა.

სადგურ არაზდაიანში ყოფილა ბამბის სარჩევი და ზეთის სახდელი ქარხანა, ორთქლის გუთნები და სხვა მრავალი მანქანები და შენობები. დღეს ყოველივე განადგურებულია. ახლაც აუარებელი მანქანები და მატორებია აქ, რომელიც უპატრონოთ ყრია და სავსებით ნადგურდება...

ამ სადგურიდან მოსჩანს ცნობილი „ვოლჩი ვოროტა“, რომელიც ხალხის თქმით, ქურთების საბუდარს წარმოადგენს და რომელიც ამართულია ტრიალ მინდვრებს შუა, სადაც უნდა გაიაროს მატარებელმა. ხიდები ყველა დანგრეულია, მავთულებიც დაწყვეტილია, მაგრამ დაუბრკოლებლათ გავიარეთ „ვოლჩი ვოროტა“-ც და მიუახლოვდით სადგურ ნორაშენს, სადაც გაუძარცვავთ აქაურებს მატარებელი, რომლითაც მიდიოდა ინჟინერი ვასილევი და სპარსეთის დელეგაცია.

28 მარტს, დილის 5 საათზე, შეუდექით ხიდეების და აყრილი გზების კეთებას, მიუახლოვდით ნორაშენს. ვნახეთ ის ადგილი, სადაც მატარებელი დამსხვრეულა მოსჩანს დამტვრეული ვაგონები, ორთქლ-მავალი, მკვდარი ცხვრების, ცხენების და სხვა პირუტყვის ჩონჩხები. როგორც იქაურებმა გადმოგვცეს, იქ სომხის ეშელონისათვის 10000 ვინტოვკა წაურთმევიათ. ამ ადგილზე მოვიდა იქ სახელგანთქმული მუსულმანთა შეიარაღებულ ძალების მეთაურის გამზაევის და, როგორც იქ გადმოგვცეს, კომისარ საფიევის წარმომადგენლები — დაახლოვებით ორმოცდა ათი კაცი, გასან-ალა საფიევის წარმომადგენელი სოფ. ბაშნარაშენიდან, სადაც, როგორც გადმოგვცეს, 10 ათასი მცხოვრებია. სიხარულით მოგვესალმა და გვითხრა, ჩვენის მხრით მზათა ვართ ყოველივე დახმარება გაგიწიოთ და მოუთმენლათ ველით გზის გაყვანას, რათა ჩვენც მოგვეცეს საშუალება გავიგოთ, რა ხდება ჩვენს გარშემო და სხ.. მაგრამ მაშადი ალასკერ გამზაევის წარმომადგენლებმა სოფელ ენგიჯადან, რომელსაც ოთხი სოფელი აკრავს გარშემო და რომელშიც, დაახლოვებით, ოცი ათასი მცხოვრები არის, გვითხრეს: თუ თქვენს დელეგატებს არ მოველაპარაკეთ, ისე ვერ გაგიშვებთო.

ჩვენც გავგზავნეთ დელეგატები: მუსულმანი ვეზიროვი, მ. ბარკალაია, წულესკირი, მალალოვი და მე მივედით სად. ნორაშენში. მიგვიყვანეს შტაბში. აქ ვინახულეთ გამზაევი, რომელიც შეიარაღებულ მხლებლებში ისე მედიდურათ გამოიყურებოდა, როგორც არწივი სხვა ფრინველებში. გავაცანით ჯავშნიან მატარებლის და დელეგაციის მიზანი. მან შემდეგი გვიპასუხა: მთელი ჩემი არსებით აღფრთოვანებული ვეგებები ქართველების დელეგაციას და გულწრფელათ გაცნობებთ, რომ რამდენადაც ძლიერია ჩვენი სომხებისადმი სიძულვილი, იმდენათ ძლიერია ქართველებისადმი ჩვენი სიყვარული და ამიტომ ყოველივე საშუალებით დაგეხმარებით და დავიცავთ გზასაც, რათა უზრუნველვყოთ თქვენი მოძმეების გამოყვანის საქმეში, მაგრამ ვერ შეგპირდებით, რომ სავსებით აღვადგენთ გზაზე მოძრაობას, რადგანაც ეს გზა იარაღათ გამოიყენეს სომხებმა; მხოლოდ მუსულმანების საელჩოთ გუშინწინაც მოახდინეთ შერიგება, მაგრამ, როგორც გადმოგვცემენ, ამის შემდეგ სამი სოფელი გაუნადგურებიათო და სხ. შემდეგ მიგვიპატიჟა სადილზე, მაგრამ გვეჩქარებოდა, დახმარების აღთქმისთვის მადლობით გამოვემშვიდობეთ და ვაცნობეთ ამხანაგებს საქმის მდგომარეობა. შევუდეგით გზების კეთებას და წავედით წინ. აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ენგიჯელებსა და ბაშნარაშენელების შორის დიდი უთანხმოება ყოფილა. ბაშნარაშენელები შერიგებიან სომხებს, ენგიჯელები კი არა.

ი. ყაჭიაშვილი.

(შემდეგი იქნება).

# გამოსალმება.

მშვიდობით წადი, ჩემო კარგო, მშვიდობით წადი,
ია და ვარდი აშვენებდეს შენს გზას და სავალს...
არ დაგივიწყებ, მეწამები ისე, ვით მწამდი,
მოკითხვას ხშირად დავაბარებ ფიქრს შენსკენ მავალს.

—

ვგრძნობ აქ, ჩვენს შორის, არ გქონია შენ ჯერ ადგილი,
აქ ბრბოს საჯიჯგნათ და სათრევათ ან კი რა გინდა...
ახ, მოგვიტევე, რომ მოგხადეთ თავზე მანდილი,
უწმინდურ ხელით შეგიგინეთ სიცოცხლე წმინდა!

—

შურს ნუ იძიებ, კვლავ გვეწვიე ვარდის ფერ ფრთებით,
გამოგვიწოდე სამეგობროთ უმანკო ხელი,
და თუ ჩვენც დაგხვდეთ ზეიმით და ქებათა-ქებით,
შენც მოგვიქარგე შვების ვარდით ცხოვრების ველი!

3 აპრილი.

ვ. რუხაძე.

## ერთი დაბეზღების გამო

ვიღაც ნ ჯიხაიშელმა გაზეთ „ალიონის“ ფურცლებზე („ალიონი“ № 25, აპრილი 8) დაბეზღებითი წერილი მოათავსა ჩემ წინააღმდეგ, უსახელო დაბეზღება, რა თქმა უნდა, ყურადღების ღირსი არაა, მაგრამ რადგან მოსოციალისტო გაზეთში იყო მოთავსებული, ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია საზოგადოების საყურადღებოთ მოკლეთ შევეხო ამ საკითხს.

ბ-ნი ჯიხაიშელი ბრალს მდებს ვითომ საგუბერნიო სასურსათო კომიტეტიდან ფეხსაცმელს მხოლოდ ინტელიგენტ-ბურჟუებს ვაძლევდე, ხოლო დემოკრატიას კი უარით ვისტუმრებდე. ამას ასაბუთებს მით, რომ თურმე მისთვის არ მიმიცია, რაც მთხოვა. შეიძლება ამ უებრო „მუშამ“ თავისთვის კიდეც წაიღო ფეხსაცმელი, მაგრამ თავისიანებისათვის წაღება კი ვერ მოახერხა. ასეთ შემთხვევებს, სამწუხაროთ, ხშირათ აქვს ადგილი.

საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის დანიშნულება საქონლის შეძენა და დამზადებაა, რაც უნდა მიაწოდოს ქალაქთა და სარაიონო სასურსათო კომიტეტებს. ეს უკანასკნელნი კი მიღებულ საქონელს ანაწილებენ მცხოვრებთა შორის.

ეს არის საზოგადო დებულება, მაგრამ ზოგჯერ საპატიო მიზეზებისა გამო კერძო პირთაც აძლევენ საქონელს კომიტეტიდან. ეს გარემოება, ცხადია, ყველა მოქალაქეს არ აძლევს უფლებას კომიტეტს მიადგეს და ულტიმატიურათ მოსთხოვოს—რაკი ერთს მიეცი, მეც უნდა მომცეო.

თფილისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტმა კერძო პირთაც დაურიგა კალოშებისა და ფეხსაცმელის სულ უმნიშვნელო რაოდენობა. ეს დროებითი ზომა, რასაკვირველია გამოწვეული იყო საპატიო მიზეზებით და დადასტურებული გამგეობის მიერ.

თუმცა საგუბერნიო სასურსათო კომიტეტი უპარტიო და საყოველთაო დაწესებულებაა, მაგრამ გაცემული საქონლის სამი მეოთხედი დემოკრატიას ერგო და არა ბურჟუაზიას, როგორც ამას უსაბუთოდ და ზეპირათ ამტკიცებს ბ-ნი ჯიხაიშელი.

ამ გარემოებამ გამოიწვია ის, რომ რამდენჯერმე შემომიცვინდენ კაბინეტში ხულიგანები და კონტრ-რევოლიუციონერები და მუქარით მომთხოვეს კალოშებისა და ფეხსაცმელის მიცემა. მაგრამ, რადგან მუქარამ არ გასჭრა, ჩვენ წინააღმდეგ მთელ ქალაქში პროვოკაციული შინაარსის ფურცლები გააკრეს.

ამნაირათ ერთი მხრივ ხულიგანები და ბურჟუები გვემუქრებიან, ხოლო მეორეთი ისეთი ცრუ-მუშები, როგორიც ნ. ჯიხაიშელი ბრძანებულა.

ეს ჩვენ არც გვაკვირვებს და არც გვაშინებს.

ბ-ნი ჯიხაიშელი მისთვისაც სასტიკათ მკიცხავს, რომ თურმე მუშების გული ვერ მომიგია, მათი სიმპატია ვერ დამიმსახურებია, რადგან ფეხსაცმელი და სხვა საქონელი არ მიმიცია მათთვის. საბრალო ჯიხაიშელი ვერ გრძნობს, რომ ამით ნამდვილ მუშებს ცილს სწამებს და ამცირებს. აქედან ყველასთვის ცხადია, თუ როგორი მუშა ყოფილა ბ-ნი ჯიხაიშელი.

ეს „მუშა“ ჰგოდებს თ. კიკვაძემ ფეხსაცმელი არ მომცა და ამით დემოკრატიის ინტერესებს უღალატაო ამიტომ ის ჩემ თავს აბეზღებს მუშებს, პარტიას, ამრჩევლებს, საზოგადოებას, ერთი სიტყვით, საკუთარი სარგებლობის გულისათვის საშუალებას არ არჩევს, არაფერს ერიდება.

და ასეთ ვინმეს თავი პარტიულ კაცათ მოაქვს!.. არ მჯერა, რადგან ამხანაგი ასე თავს არ შეირცხვენს.

ბ-ნი ჯიხაიშელი პარტიული ამხანაგი რომ იყოს, ის, თუ რამ ჩემი საწინააღმდეგო ჰქონდა, უწინარეს ყოვლისა პარტიის იმ ორგანოს მიმართავდა აშკარა განცხადებით, რომლის წარმომადგენელიც მე ვარ სასურსათო კომიტეტში. ამას მოითხოვს პარტიული დისციპლინა და ეთიკა. მაგრამ ასეთი საქციელი როგორ მოეთხოვება იმ „ამხანაგს“, რომელსაც ისიც კი არ სცოდნია, ვინ გამოგზავნა სასურსათო კომიტეტში.

ზეპირათ კრიტიკის მთხზველი ბ-ნი ჯიხაიშელი ჩემთვის საეჭვო პიროვნებაა, რომელსაც საკმარისია გადაუგდო ერთი წყვილი ფეხსაცმელი, რომ მისი გული მოიგო და მაქებარი გაიჩინო.

ასეთ პირებს პოეტი საუცხოვოთ ახასიათებს, როცა ამბობს:

„რას წკმუტუნებს ეს საბრალო მურია?
ვინც გააძღებს, იმის შინაურია“.

თ. კიკვაძე.

# პროვინცია

**ახალ-სენაკი.** 8 აპრილს ქალაქის ბაღში ადგილობრივ კომისარის ინიციატივით შესდგა მრავალ-რიცხოვანი მიტინგი. ქალაქის კომენდანტის სახელით ლაპარაკობს კავჟარაძე. იგი თავის მოკლე სიტყვაში მკაფიოთ უსურათებს მოქალაქეთ მომენტის სიმწვავეს და მოუწოდებს ყველას, განურჩევლათ მიმართულებისა და რწმენისა, ვინც კი დაინტერესებულია ფიზიკურ არსებობის შენარჩუნებაში,—ერთსულოვნებისაკენ. შემდეგ იგი ეხება ზოგიერთ მოქალაქეთა დრო-შეუფერებელ საქციელს, რომელნიც თურმე ომისათვის საჭირო მასალას ინახავენ სახლში იმ დროს, როდესაც საჭიროება მასში განუსაზღვრელია; წინადადებას აძლევს კრებას, გაუწიონ ანგარიში მომენტ და ვისაც რამე ასეთი მოეძებნება მოიხადოს თავის მოქალაქეობრივი მოვალეობა, გამოაჩინოს და მოიტანოს სადაც ჯერ არს, წინააღმდეგ შემთხვევაში ვინც გ დამალავს და აღმოჩენილ იქნება, იგი ჩაითვლება სამშობლოს მოღალატეთ და როგორც ასეთი გადაეცემა სამხედრო სარევოლიუციო ტრიბუნალს. წინადადება მასი ერთხმათ მიღებულ იქმნა კრების მიერ და საქმის მოგვარება აევალა ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტს.

დასელი ქალი.

—

**ერკეთი (გურია).** 30 მარტს ს. ხევში მოვიდა პოლკოვნიკი ვიკტორ ინწკირველი, რომელიც დანიშნულია გურიის ყველა სამხედრო ძალების ხელმძღვანელათ. მოხდა კრება ერკეთის საზოგადოების თავდაცვითი კომიტეტისა ჩოხატაურის რაიონის თავდაცვითი კომიტეტის თავმჯდომარის ა. ცინცაძის თანადასწრებით. მოხსენებას აკეთებს პოლკოვნიკი ინწკირველი ჩვენს დამოკიდებულებაზე ადგილობრივ მაჰმადიანებთან. თანახმათ გურიის თავდაცვითი კომიტეტის გადაწყვეტილებისა მიღებულ იქნა იარაღი აეყაროს ყველა მაჰმადიანებს. ამ საქმის მოსაგვარებლათ კომიტეტი ირჩევს ვლასი მამალაძეს, რომელიც პოლკოვნიკ ინწკირველთან 70 გვარდიელით 31 მარტს მიდის ჩხაკაურაში და ზოტში. ჩხაკაურაში ყოფილა 13 მოსახლე. ასვლისას შეგროვდენ ყველა მაჰმადიანები. პოლკოვნიკი ეუბნება მათ: „მე ომში ბევრჯერ ვიყავი სიკვდილის [illegible] ჯერ დავჭრილვარ, მაგრამ [illegible] მარჩინა ყოველთვის. მომბეზრდა მე ომი, არ მსურს ის, რადგანაც ომის სურათი გულის მომშხამველია ადამიანისათვის, კაცობრიობა ნადგურდება, მაგრამ როდესაც თავს გვესხმიან, ჩვენ თავი უნდა დავიცვათ, დღეს უკვე იძულებითი ომში გვითრევენ. ომის დროს არავითარ შებრალებას ადგილი აღარ აქვს, მე ვარ სამხედრო პირი, ეს კი (უთითებს კომიტეტის წარმომადგენელზე) არის კომიტეტის წარმომადგენელი. ესენი ეცადენ, რომ აგიტაციით აჭარა დაეყენებინათ სწორ გზაზე, მაგრამ ბეგების აგიტაცია უფრო მჭრელი გამოდგა, აჭარლებმა გვიღალატეს, თოფი გვესროლეს. მაშინ კი კომიტეტი მოდის ჩვენთან, სამხედრო პირებთან და გვეუბნებიან: გვიშველეთო. ჩვენც ეხლა გადავსწყვიტეთ ლაპარაკს—აგიტაციას თავი დავანებოთ და ტყვიას ტყვია დავუპირდაპიროთ. ჩვენ თქვენ ნდობას გიცხადებთ, მაგრამ ოსმალები რომ აქ შემოიჭრან, ისინი თქვენს იარაღს დაიტაცებენ და ჩვენს წინააღმდეგ მომართავენ, ამისათვის თქვენი იარაღები უნდა ჩაგვაბაროთ ჩვენ, მოგეცემათ თვითეულს კვიტანცია და ომის გათავების შემდეგ თქვენ მიიღებთ თქვენა იარაღს. მხოლოდ ეხლავე გიცხადებთ, რომ თუ ეხლა განცხადებული არ იქნა თუ ვის აქვს იარაღი და შემდეგ, როცა ჩვენ ჩხრეკას შევუდგებით აღმოვაჩინეთ, მთელ სოფელს დავიჭერთ და გადავსცემთ ოზურგეთის სამხედრო რევოლიუციონურ ტრიბუნალს. არავის არ დაუმალავს იარაღი და მსწრაფლ იქნა მოტანილი, რომელიც გადაეცა თავდაცვისა კომიტეტს. ასეთივე ზომები იქნა მიღებული ზოტში, სულ ორივე სოფელში აღმოჩნდა 22 თოფამდის, რომელთა შორის ვარგისი არის მხოლოდ 12.

ვ. მ.

—

**ს. თილვის**, ოქონის საზოგადოების (გორის მაზრა) მცხოვრებნი შეიკრიბენ 8 აპრილს 1918 წელს და მსჯელობა ჰქონდათ ტატე ლაზარეს ძე ოსიტაშვილის დაპატიმრების შესახებ, ყრილობამ ერთხმათ დაადგინა: ცხინვალის სამწუხარო ამბებში ჩვენ ყველამ მივიღეთ ბრმა მონაწილეობა, დავუჯერეთ გავრცელებულ ხმებს, თითქოს სოფლებზე თავდასასხმელათ მოდიოდენ შავრაზმელები. ამ ხმებმა ჩვენ დიდი შეცდომა ჩაგვადენინა. მონაწილეობა მივიღეთ შეიარაღებულ აჯანყებაში ჩვენი დამცველი ძმების, წითელ გვარდიელების წინააღმდეგ. პროვოკაციულმა ხმებმა ჩვენ ისე დაგვაბრმავა, რომ ტატე (ევსტაფი) ლაზარეს ძე ოსიტაშვილი მახლობელ სოფლებშიც გავგზავნეთ, რომ მას სოფლელები გამოეწვია წითელი გვარდიელების წინააღმდეგ; წითელი გვარდიელები ჩვენ ჩვენი შეუგნებლობით ჩავთვალეთ შავრაზმელ-მემამულეებათ. ოსიტაშვილი ჩვენგან არაფრით არ განსხვავდება, როგორც დანაშაულის მონაწილე, ამიტომ ვსთხოვთ ვისიც ჯერ არს მიანიჭოს თავისუფლება ოსიტაშვილს, ვინაიდან ჩვენ ისედაც დაგვტანჯა ჩვენმა სინდისმა. ჩვენ მონაწილეობა მივიღეთ იმ შეტაკებაში, რასაც შედეგათ ისეთი ძვირფასი ადამიანების, როგორიც მაჩაბელი და კეცხოველი იყო, მოკვლა მოჰყვა, რომელთაც მთელი თავიანთი სიცოცხლე რევოლიუციას და ხალხის კეთილდღეობას შესწირეს. ამ განაჩენს ხელს აწერს: 79 კაცი.

—

**თელავის მაზრა.** ალაზნის გაღმით ბარში ცხოვრობენ თუშები. ნახევარი ხალხი ცხოვრობს მთებში, ქისტების საზღვრებზედ.

ეს წერილი გადმოვიწერე მთის თუშებისაგან. მოწერილი ბარის თუშებთან. აი რას სწერენ: 1918 წ. მოგწერთ თუშეთის მოხელე პირებს და გთხოვთ ძმახო დახმარებას. ჩვენ აღარ გვაძლევენ დასვენებას ქისტები, მოდიან პარტიობით ათი ერთათ და თორმეტი ერთათ და მოდის ოცდა ათ კაცამდის ერთათ, გადმოვიდნენ ფარსმაში ეს დიდი თოვლიანი მთა, ჩვენ ორი კაცი გავგზავნეთ იანვრის თორმეტში გიგოლე თოვლიძე და ლაზარე ფარსიკაძე ნაუმურდინთან სათხოვნელათ, ისინი გვწერენ ძალიან შიშიაო, ეს ნაუმურდინი ქისტების კომანდერია.

მილიციონერები დააწესეთო, ძალიან ფრთხილათ იყავითო. ბოლოს მოსულმა ქისტებმა გვთხოვეს ჩვენ ორს საზოგადოებას ექვსასი თუმანი მოგვეცითო და თქვენ აგცდებითო, მხოლოდ ჩალმა გომეწარში სიარულის ნება მოგვეცითო. ჩვენც შევატყობინეთ მთელს თუშეთსა, მოვიდა დევარი და ქისტებმა რომ ნახეს ხალხი გროვდებოდა, უკან წავიდნენ. ეხლა თქვენ შეხედეთ საქმესა, საიდანაც გვეშველება, ცადეთ იარაღსა და წამალსა. ჰაცო, განა ისე დასუსტდა მთავრობა ან ძველი და ან ახალი, რომ ორმავე უპატრონოთ ულათ დაგვტოვეს, და თუ ეს არის ჩვენი ცხოვრება, ქისტებს ჩვენის ხელით არ მივცეთ ჩვენის ქონებით გვწინამძღვრეთ კომლზე ყველას გვეჭირვება აუცილებლათ თითო თოფი თავის პატრონებით, ჩვენის ფუ-

ლით, და თუ მთავრობა და აბა თუ უნდათ ჩვენი ძმობა და ერთობა ახლა სჭირს ისე, რომ ზემო პირიქითში აღარ არის ნახევარი დიაც ყმაწვილი გულ სოფლებს შეეხიზნენ. ეს ამტილი ლაპარაკი ტყუილი აღარ არის. ერთი წყება მოსულა მთის ძირზედ ჯარით და სამტყუ წინ დასდგომია, ჩვენს გზაზედ არ გაგიშვებთო, ერთიც პანკისელებს გამოუცხადეთ. თუ ჩვენ რაიმეს აგვიტეხენ ეგენი მაინც თქვენ წაახდინეთ. მგონია მოუწერიათ კიდეცა პირიქით ქისტებისთვის პანკისელებს ჩვენ გვემუქრიანო, მაგათანაც გააკეთეთ საქმე. ეხლა როგორც სჯობდეს და გვეშველებოდეს ისეც ეცადენით, ვიდრე ამ წიგნის მომტანები არ მოელენ და თქვენს პასუხს არ მივიღებთ ჩვენ. აქ—ძალიან ვაფრთხილებთ დახედეთ თუ მთავრობის მხრით იმედი აღარ გაქვთ, მაშინ ყველანი მოჰპატრონდენ თავის ცოლშვილს და ცხოვრებასო. ეს ზემოთ მოხსენებული ყოველივე ცხადია ვწერ და ვემოწმები დართელოს პრიხოდის მღვდელი პეტრე ელანიძე 1918 წ. იანვრის 30-სა დღესა. რა დღეს მიიღებთ ამ წერილსა მოგვწერთ პასუხი“.

გ. თევდორაშვილი.

## ჯარისკაცთა წერილები

**ქ. ფოთი.** ფრონტიდან ჯარების საერთო დახევის დროს ტრაპიზონში სხვათა შორის ჩამოვიდა მე-3-მე კავკასიის „პოგრანიჩნი“ პოლკი, რომლის რუსი შემადგენლობა გაეშურა რუსეთისკენ.

ზემოხსენებულ პოლკში ირიცხებოდენ აგრეთვე ქართველი მხედრებიც. ამ უკანასკნელებმა კიდევ ტრაპიზონში, გასული წლის დეკემბერში ჩაუყარეს საძირკველი მე-3 მე ქართულ მსროლელ პოლკს. ამ პოლკს შეუერთდენ სხვა ნაწილებთან ერთად მყოფი ჩამოსული ქართველი ჯარისკაცები და აფიცრები. ასე რომ ფოთში დაბანაკების ხანს მესამე პოლკში იყო საკმაო რიცხვი ჯარისკაცებისა, რომ ამ უკანასკნელების დიდი გაბალშევიკებული უმრავლესობა არ წასულიყო თავ-თავიანთ სახლში. პირველ ხანებში მესამე პოლკში აფიცრები რიცხვით თითქმის უთანასწორდებოდენ ჯარისკაცებს. დღე-დღეობით კი უკანასკნელი მობილიზაციის (19 25 წ.) გამო პოლკში ირიცხება 800 ჯარისკაცამდე. ყოველ დღე სწარმოებს სამხედრო ვარჯიშობა.

სამეგრელოში გაცხადებულმა მობილიზაციამ მისცა მესამე პოლკს მხოლოდ 600—700 კაცი, სხვა კუთხეებთან პოლკის შესავსებათ ჯ.-კაცებს ნაკლებათ მოველოდით და არც მოსულან. და ასეთ საბედისწერო დროს, როდესაც ჩვენი სამშობლო მოითხოვს უკანასკნელი ძალების მოკრებას საშინელი საფრთხის თავიდან ასაშორებლათ 600—700 კაცი სამეგრელოდან, სადაც ირიცხება მცხოვრებთა სამასი ათასი სული, ძალიან ცოტათ მიგვაჩნია. შეიძლება სხვადასხვა მიზეზების გამო სამეგრელოს ვერ ქონდა საკმაოდ გათვალისწინებული ის უბედურებანი, რომლებიც თავს დაატყდება ჩვენს მხარეს ოსმალების შემოსევით და ამის გამო ეს მობილიზაცია ვერ იქნა სასურველათ გატარებული, მაგრამ დღიდან პირველი მობილიზაციის გამოცხადებისა გავიდა რამოდენიმე დრო და ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ საყურადღებო ითქვა, დაიწერა, მოხდა და მე მგონია, რომ დღეს ყველასათვის დღესავით ნათელი უნდა იყოს ის ფაქტები, რომლების წინაშე ჩვენ ვდგავართ და გვიხდება ანგარიშის გაწევა. დღეს თუ არა ხვალ უნდა გატარდეს ცხოვრებაში მეორე მობილიზაცია და ჩვენც ვიმედოვნებთ, რომ სამეგრელო მეტად სერიოზულათ მოეპყრობა ამ წმინდა საქმეს სამშობლოს დაცვისა და მისი მკვიდრნი არ დააყოვნებენ დროზე გამოცხადებას სადაც ჯერ არს და ამით თავისი მოქალაქეობრივ მოვალეობას მირნათლად შეასრულებენ.

ჯარისკაცი ვალიკო შრომიშვილი.

## მუშათა შორის

**კოოპერატივ „მოსავალი“ ს გარშემო.** მომხმარებელი საზოგადოება „მოსავალი“-ს მუშა მოსამსახურეთა კრებაზე ხუთ აპრილს მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: „ვიღებთ რა მხედველობაში, რომ მდგომარეობა საზოგადოების საქმეებისა ემუქრება თვით ამ საზოგადოების არსებობას, ვუცხადებთ არ ებულ გამგეობას შემადგენლობას უნდობლობას, ამასთანავე საქმის მდგომარეობა იძულებულს გვხდის შევასრულოთ ჩვენი ზნეობრივი მოვალეობა და მიენდოს მოსამსახურეთ საბჭოს ახლო მომავალში მოიწვიოს საერთო კრება ზემოხსენებულ საზოგადოების ყველა წევრებისა, რაც იქნა შესრულებული საბჭოს მიერ (იხილეთ გაზეთები 7 და 8 აპრილის).

გამგეობის წევრებს არ ეპაშნიკათ ასეთი გამოსვლა მოსამსახურეებისა და სასწრაფოთ დაგზავნა კონტრ-განცხადებები გაზეთებში, სადაც მოუწოდებდა წევრებს საბჭოს მიერ ვითომდა დაგებულ მახეს არ აყოლოდენ და არ გამოცხადებულიყვენ დანიშნულ დროზე. რა მოხდა აქ გასაკვირი? რამ აიძულა გამგეობა, თუ კი ის მართლათ სთვლიდა თავის თავს წინ აღუდგომოდა საბჭოს მიერ გადადგმულ ნაბიჯს? ყველა ცოტათ თუ ბევრათ შეგნებული პირი, თუ კი ის დაინახავს, რომ საზოგადო საქმე იღუპება, მით უმეტეს ისეთი დაწესებულება როგორიც არის „კოოპერატივი“—განა ვალდებული არ არის თავის დროზე ამცნოს ყველა საზოგადოებრივი ინტერესებით გამ ჭვალულს პირებს, რომ საზოგადო საქმე ზოგიერთი პირების მეოხებით იღუპება? რა უნდა ექნა მუშა-მოსამსახურეთა კრებას, როდესაც დაინახა, რომ საზოგადოების სახელით კერძო ვაჭრობას მიყვეს ხელი.

თუმცა რვა აპრილს საერთო კრება წევრებისა არ შესდგა, მაგრამ ერთი რამ მაინც გაკეთდა—გამგეობა იძულებული გახდა 15 აპრილს საერთო კრება მოეწვია.

ეხლა შევუდგეთ იმ ფაქტების აღნიშვნას, რომლებითაც საერთო კრება მოსამსახურეებისა ხელმძღვანელობდა, როდესაც ადგენდა მოეწვია საერთო წევრების კრება.

1) მოსამსახურეთა საბჭომ მოგმართათ თქვენ, რომ საჭიროა ჩვენ დაწესებულებაში ისეთი ამხანაგების მიღება, რომლებიც დაინტერესებულნი არიან საზოგადოებრივი საქმეებით. მაგრამ თქვენ ამის წინააღმდეგ წადით და განაგრძობდით მიღებას პროტექციებით, რასაც მიზეზათ მოყვა დაწესებულებაში მოეყარა თავი არა სასურველ პირებს.

2) საბჭომ მოსამსახურეთა საერთო კრების დავალებით გთხოვათ თქვენ, რომ გამოგენახათ რაიმე საშვალება ფურნეების და განყოფილებების სანიტარულის მხრივ გასაუმჯობესებლათ, სადაც ეძინათ მუშებს უოთახობის გამო

3) საბჭომ მოსამსახურეთა საერთო კრების დავალებით მოგმართათ თქვენ გაგეუმჯობესებიათ მატერიალური პირობები მოსამსახურეებისა, თქვენ დაგვპირდით, რომ არა უგვიანეს პირველი თებერვლისა შეადგენდით ანგარიშებს საზოგადოების შემოსავალ გასავლის მიხედვით, მაგრამ არ შეასრულეთ ეს დაპირება. საბჭომ მაინც საშვალება მოგცათ, რომ მუშები არ გაფიცულიყვნენ და ნორმალურ პირობებში გეწარმოებინათ საქმე. მოთხოვნილების წარმოდგენისთანავე თითონვე შევუდექით მოსამსახურეთა კრების მოწვევას, რაზედაც საბჭომ ხელი არ შეგიშალათ, ვინაიდან უნდოდა თქვენთან შეთანხმებულათ ემუშავნათ. თქვენი მოხსენებიდან გამოირკვა, რომ საზოგადოებას ოთხი თვის განმავლობაში უზარალია 11,000 მანეთი დაახლოებით. საბჭომ აუხსნა მოსამსახურეებს რა მიზნებს ემსახურება ჩვენი საზოგადოება, მოუწოდა რა მუშებს, რომ ჩვენ როგორც შეგნებულმა ელემენტებმა მსხვერპლად უნდა შევსწიროთ საზოგადოებას ჩვენი კერძო ინტერესები. თქვენ დაგვპირდით, რომ „არა უგვიანეს პირველი აპრილისა 1918 წელს მოიწვევთ წევრების საზოგადო კრებას და გამოაქვეყნებთ ანგარიშებს“.

4. ფქვილის შემოსავალმა იკლო. ვვაძლევდენ 120 ტომარის მაგიერ 60—50 და ხშირათ 25-ზე ნაკლებსაც, ამავე დროს კი მოსამსახურეთა შტატი შეუცვლელი დარჩა, რამოდენიმე საბჭოს წევრებმა მოგმართათ თავი დაგვეჭრათ და არ მიგეღოთ ახალი რიცხვი მოსამსახურეებისა (9 კაცი არის მიღებული მას შემდეგ), არ შეგეძინათ ცხენები, ყოვლად უვარგისი ტაჩკები, რომლებზედაც შეიძლებოდა არა უმეტეს 15 ფუთი სიმძიმის საქონლის გადაზიდვა და აგრეთვე საკუთარი „ეკიპაჟი“, თქვენ განაგრძობდით ყველა ამაებს, რითაც საერთო ჯამს ზარალისას მიუმატეთ.

5) თქვენ შემოიღეთ რაღაც მოუჯაადოებელი სისტემა, როგორიც არის მთელი თვის ხვედრი პურის ფულის გადახდევინება (აგ. ნსათ) წეკრებზედ, ართმევდით ჩაწერილებს პურის ბარათებს, კანტორის შენობა გადაიქციეთ დუქნათ, სადაც გროვდებოდა მრავალი ხალხი ქალაქის განაპირა უბნებიდან, ვინაიდან ნაკლები ფქვილის მიღებამ, გამოიწვია ქალაქის განაპირა უბნების უყურადღებოთ მიტოვება, სადაც მრავალი წევრები იყო ჩაწერილი საზოგადოებაში. გამომცხვარი პური კი გროვდებოდა კანტორაში ეგრედ წოდებულ თვიურებისათვის, (ტოვებდით უპასუხოთ ქალაქის განაპირა უბნების დემოკრატიას (აბა დამი ახელეთ ისეთი მუშა, რომელსაც შეეძლოს პურის ფული ასი მანეთი თვის პირველში ავანსათ გადაეხადოს), რამაც შექნა ერთგვარი პროვოკაცია თვიურებს და არა თვიურებსა შორის, მაგრამ ხშირათ ეს თვიურებიც ვერ ღებულობდენ პურს, რა გინდ პურის ბარათები თქვენთან ინახებოდა, რაიც იწვევდა ლანძღვა გინებას თქვენსა და მათ შორის, რაც ხელს უშლიდა კანტორის მოსამსახურეებს თავისი მოვალეობა შეესრულებინათ.

6) მუშების შევიწროება:

ისეთი ნაბიჯი თქვენ არ გადაგიდგამთ, რომ მუშებისთვინ რაღაც დაცინვის, ირონიის თვალით არ შეგეხედოს (ამუჩათ იგდებდით თვით წევრებსაც), ყოვლად უმიზეზოთ ფიზიკურათ შეურაცყოფა მიაყენეთ ერთ ერთ მუშას (გრიშაშვილს) მხოლოდ იმისთვის, რომ ამ უკანასკნელმა ბატონ ერთ ერთ ფურნის გამგეს ხმა მაღლა შეელაპარაკა, დაითხოვეთ ყოვლათ უმიზეზოთ „კუჩერი“ სარქისოვი—რადგანაც უფროსმა „კუჩერმა“ ის ყოვლათ უმიზეზოთ დაასმინა თქვენთან. ეს მოხდა ისეთი კაცის ზედ გავლენით, რომელიც ბოლოს თვითონ ქურდი გამოდგა და რომელიც სისტემატიურათ განაგრძობდა მითვისებას საზოგადოების კუთვნილ ნივთებისას და სხვ.

ერთს აძლევდით ეგრეთ წოდებულ „мобилизацiон-ს“ მეორეს არა. როდესაც ერთ-ერთი მოსამსახურე შემჩნეულ იქნა ბოროტმოქმედებაში და კიდევაც დაუმტკიცდა, თქვენ მიეცით მას ორასი მანეთი დახმარების სახით იმ დროს, როდესაც იქვე მდგომ ჯარში გაწვეულს უარი უთხარით 30 მანეთის მიცემაზედ. ერთ-ერთი საბჭოს წევრის შეკითხვაზე, თუ რატომ სჩადით ასე, უპასუხეთ: „ის კარგი კაცია და ერგებაო“. განა რომელი დარგის მუშებს შეეძლოთ ასეთ პირობებში ემუშავნათ? ყველა ზემოხსენებულმა პირობებმა გვაიძულა ჩვენ მიგვემართა წევრების საზოგადო კრებისათვის. მაგრამ გამგეობამ ამის წინააღმდეგ გაილაშქრა. მყისვე შეუდგა კონტრ განცხადებების წერას გამგეობა და ყველა მოხვეულებში გაეკრათ, რომ საბჭოს წევრები პაიჭაძე, წულუკიძე, იტრიევი, დოლიძე მატყუარებია, საზოგადოების მტერია და, სადაც შეგხვდეთ, ერიდეთო. ამაზე შორს წასვლა განა შეუძლია რომელიმე ძველი მთავრობის დახელოვნებულ მოხელეს!

არა ბ-ნო კახელაძევ და კომპანია! თქვენ თუ მართლათ გრძნობდით თავს, რათ შეუშალეთ ხელი კრების მოწვევას? რათ დაგზავნეთ შიკრიკები ყველა უბნებში, რომ არავინ დასწრებოდა კრებას? ამას ეს არ სჯობდა თქვენთვის ყოფილიყავით და ყველაფერზე ხელი ჩაგექნათ, ვინაიდან გამოცდილებით ვიცით, რომ მართალს ყოველთვის მეტი მოთმინება აქვს? ამით არაფერს დაკარგავდით. მაგრამ მახლას!

მოსამსახურეთა საბჭოს მონდობილობით გერ. პაიჭაძე.

**რედაქციისაგან.** ვბეჭდავთ ამ წერილს, მაგრამ მოსამსახურეთა საბჭოს საქციელი ჩვენ არ მიგვაჩნია სამართლიანათ და კანონიერათ. მოსამსახურეებს, როგორც მოქალაქეებს, სრული უფლება აქვთ კრიტიკის, უფლება აქვთ თავისი პროფესიონალური ინტერესები დაიცონ ყოველგვარ რიგიან საშუალებით, მაგრამ სხვისი უფლებების მითვისების ნება მათ არ აქვთ. ჩვენ გვიკვირს, რომ თფილისის მოწინავე მუშების ერთ ნაწილს არ ესმის ის ანბანური ჭეშმარიტება, რომ ყოველ საზოგადოებას აქვს თავისი წესდება და ამ წესდებით ამ საზოგადოების საქმეებს უნდა განაგებდეს არა მოსამსახურეთა საბჭო, არამედ გამგეობა და წევრთა საერთო კრება.

## სოც.-დემ. პარტიაში

ვთხოვ ამხანაგ კომიტეტის წევრებს ყოფილ სარიყამიშის ორგანიზაციის რ. ს. დ. მ. პარტიისა, გვაცნობოს როგორ არის ორგანიზაციის საქმე ანგარიშის მხრივ, ან უკანასკნელ დროის შესავალ-გასავალი, ან კიდევ რა დანიშნულება მიეცით დარჩენილს ფულს. თუ შეიძლება გვაცნობეთ პრესის საშუალებით ამ მოკლე ხანში და მასთან გვაცნობეთ დაახლოვებით მოკლე ანგარიში როგორც ფინანსიური, ისე კიდევ ინვენტარული.

პატარა სიმონა.

30 მარტს, მეოთხე რაიონის ქალთა სოციალ დემოკრატიული ორგანიზაციის კრებამ დაადგინა შეადგინოს „დრუჟინა“, რომელიც ყოველ-გვარ დახმარებას გაუწევს რევოლიუციისთვის თავ-დადებულ დაჭრილ წითელ გვარდიელებს. ქალთა „დრუჟინა“ უკვე შესდგა და მზათაა პირველ მოთხოვნისავე შეუდგეს თავის მოვალეობას. მეოთხე რაიონში აღნიშნულია 3 საექიმო პუნკტი. იმავე კრებაზე არჩეულ იქნა ფინანსიური კომისია, რომელიც გამონახავს საშვალებას როგორც დაჭრილ წითელ გვარდიელებისთვის, ისე მათი უწყალოთ დარჩენილ ოჯახობისთვის.

№

## წერილი რედ. მიმართ

პროვოკაციის ქსელი.

ნათქვამია: „კოკასა შინა რაცა სდგას, იგივე წარმოსდინდებისო“ ან კი რას უნდა მოველოდეთ „საქართველოს“ გ. წ ს მზავს კორესპოდენტისაგან, თუ არა ჭორების და ცილის წამების თხზვას, ურომლისოდაც გაზ. „საქართველოს“ ისე არ შეუძლიან არსებობა, როგორც უწყლოდ თევზს. მაგალითად მოვიყვან „საქართველოს“ ზემო აღნიშნულ კორესპოდენტის მიერ გამბულ ამ ბოლო დროს პროვოკაციის ქსელს, რომელშიც უმოწყალოთ აბამს ის (გ. წ.) ყველა სოციალ დემოკრატს. ბ ნი გ. წ. ჯერ იყო „საქართველოს № 59 ბრალსს სდებდა ამხ ს. მაჭავარიანს, რომელიც თურმე 4 მარტს ახაშენში ხალხს ამხედრებდა თავად-აზნაურობის წინააღმდეგ და თვითონ კი 1914 წელს აპირებდა ქუთაისში აზნაურობის დამტკიცებას და სხვა. რაზედაც ამხ. სოსო მაჭავარიანმა შესაფერი პასუხი გასცა გ. წ.-ს და სამედიატორო სასამართლოშიც გამოიწვია, მაგრამ ბ ნი გ. წ. არც ამით დაკმაყოფილდა და ის „საქართველოს“ № 67 კვლავ განაგრძობს მაჭავარიანის და მასთან ერთად ჩემს წინააღმდეგ ჭორების თხზვას. მაჭავარიანის შესახებ გ. წ. განაგრძობს: „შეიძლება სხვა დროს ყურადღება არ მ გვექცია, მაგრამ დღეს, როდესაც ქვეყანა ალშია გახვეული და მაჭავარიანისთანა აგიტატორების პროვოკაციამ სისტემატიური ხასიათი მიიღო, დადუმება შეუძლებელიაო“. თანაც მოვყევარ მე და განაგრძობს: „16 მარტს ველისციხის შემნახველ - გამსესხებელ ამხანაგობის დარბაზში შეეკითხენ მაჭავარიანის კარგ ნაცნობ, ველისციხის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციის აქტიურ მოღვაწეს საშა ბაირამოვს („ერთობის“ კორესპოდენტი) მართალია თუ არა ძმ. აფხაზების და ვაჩნაძეების დახოცვას შესახებ, რაზედაც მან საჯაროდ, მრავალ ხალხში უპასუხა—„ეგენი კი არა თელავი და სიღნაღის თავად-აზნაურობა სულ გასაჟლეტნი არიანო“. თან ეკითხება სოსო მაჭავარიანს:—პროვოკაცია არის ეს თუ არაო. ჩვენც კარგად ვიციო, რომ თავად-აზნაურობის წინააღმდეგ ხალხის ამხედრება, როდესაც როგორც გ. წ. ბრძანებს, ქვეყანა ალშია გახვეული,—პროვოკატორობაა, მაგრამ მე ვეკითხები ბ ნ გ. წ.-ს შავრაზმელობაა თუ არა მობილიზაციის წინააღმდეგ აგიტაციის გაწევა, როდესაც დემოკრატიის მიერ მოპოვებულ თავისუფლებას ფეოდალურ-დესპოტიურ ოსმალეთის სახით საფრთხე მოელის, რასაც დიდი სიხარულით ეგებება გ. წ.-ს კარგად ნაცნობი გიორგი წინამძღვრიშვილი. რაც შეეხება გ. წ.-ს მიერ ჩემდამი წამოყენებულ ბრალდებას, ვიტყვი, რომ, როგორც მე გადმომცეს, ძმ. აფხაზები და ვაჩნაძეები დახოცეს მათი პროვოკატორობის გამო, რომლის წყალობითაც კინაღამ ქართველები თათრებს (თუ ლეკებს—არ მახსოვს) დაერივნენო, რისთვისაც შემნახ. გამსესხ. ამხ. დარბაზში ვსთქვი, რომ ყველა პროვოკატორები, რომლებიც ერთა შორის შუღლს აგდებენ გასაჟლეტნი არიან მეთქი, რასაც კიდევაც ვიტყვი, და თუ გ. წ.-ს სხვანაირათ გაუგია ან მოლანდებია, ეს ჩემი ბრალი არაა. გარდა ამისა გ. წ. სწერს, რომ მე „ერთობის“ კორესპონდენტი ვარ, რაშიც გამოსჭვივის ჯაშუშური (გ. წ.-ს) სული. შეიძლება მე მართლაც ვიყო „ერთობის“ კორესპონდენტი, მაგრამ, „ერთობის“ რომელ ნომერში ნახა გ. წ.-მ საშა ბაირამოვის წერილი? მართლაც რომ სინდისიც კაი საქონელიაო. და ბოლოს თუ ს. მაჭავარიანს დაუმტკიცებს ბ. გ. წ. პროვოკატორობას, ალბათ მეც დამიმტკიცებს. თქვენ შავრაზმელობას კი ბ-ნო გ. წ. თუ თქვენ გიორგი წინამძღვრიშვილი ბრძანდებით, ყველა დაამტკიცებს.

საშა ბაირამოვი.


ექიმი
### დ. ი. ჯაფარიძე
მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 ს მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრის ბაღის პირდაპირ. ტელეფონი 17—49.

### ექიმი ნ. ლ. ტურიაშვილი
მედიცინის დოკტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა.
შინაგან საბავშვო, საბებიო და საშვილოსნო სნეულებით ავადმყოფთ იღებს ყოველ-დღე შუადღის 12—2 და საღამოს 4—5 საათამ. უფასოთ იღებს ყოველ-დღე დილით 9—10 საათ. მისამართი: ნიკოლოზის ქუჩა, № 7, სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით.

ექიმი
### დ. ი. ჟორდანია
იღებს ავათმყოფებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფობით, სიფილისი მისი და შედეგები სისხლ ნაკლებბა. ქრონიკული მალიარია და ქრონიკული ტრაპერი. საღამოს 5—7 საათამდე გარდა კვირისა გორის ქ. № 8 (დიდუბე). ტელ. 14—37

### ექიმი ვ. გ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორათ ნამყოფი იღებს ავათმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 8—5 ნახ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიკოვის ქუჩა, № 19.

ექიმი
### ნ. ი. მახვილაძე
იღებს სპეციალურად—მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავათმყოფთ ყოველ დღე დილის 11—12 საათამდე და საღამოთი 4—6 საათამდე. ელექტრიზაცია და მასსაჟი. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11.

ექიმი
### ვ. ვ. კლდიაშვილი
შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ღებულობს ყოველ-დღე დღის 12—1 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 4. კუთხე მიხეილის პრ. ტელეფონი 8—48. ვაგზლის სამკურნალოში მიიღებს ყოველ-დღე დღის 1—2 საათამდე.

ექიმი
### ზ. დოსხიძე
ყოფილ იასსისენტი პარიზის მთავარ კლინიკისა იღებს
თვალის ტკივილებით ავადმყოფებს, დილის 10—12 და საღამოს 4—7 საათამდე. მიხეილის პრ., 76, (ხაიკინის კბილის საექიმო).

სამკურნალო „???“
ექიმი ალექსანდრე ???
### კეკელიასი
მიიღება კანისა, ვენერიულისა და სი???ლისიანი ავათმყოფები. (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ ტელეფონი 14—28.

მარტის 20 გაიხსნა ახალი
### სამკურნალო
ყოველგვარ ავათმყოფთათვის
ექიმ. ი. მ. მძინარიშვილის და ლ. მ. ნაზარეტიანის
სავადმყოფოში არსებობს კბილის საექიმო კაბინეტი ხელოვნურ კბილების ტეხნიკურ ლაბარატორიით
მიხეილის და კიროჩნი ქუჩების კუთხე № 22. (შესასვლელი კიროჩნი ქუჩიდან) ტელეფ. 10—87. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 ს. ნაშუადღევის 3 საათამდე. ვენერიული და სიფილისის ავათმყოფების მიღება საღამოს 5—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 ს., კვირაობით ღარიბები უფასოთ მიიღებიან დილ. 10—12 საათ.
(24—16)


## თფილისის ქალაქის გამგეობა
## სავალდებულო დადგენილება.

ქალაქის გამგეობამ თანახმათ საბჭოს 1918 წ. 19 მარტის გადაწყვეტილებისა დაადგინა:

1) ქალაქ თფილისში შემოღებულ იქნება ოთახების დაფასება ისეთ ბინებზე, სადაც იძლევა არა ნაკლებ სამისა და არა უმეტეს ათი ოთახისა.

2) ოთახის ფასი ისაზღვრება მთელი ბინის საიჯარო ფასის ნაწილით, ამ ფასის გამოანგარიშება შეიძლება იმის და მიხედვით თუ მთელი ბინის რამდენი ნაწილი უჭირავს ოთახს და ზედ ემატება 15 პროცენტი.

3) თუ ავეჯით სარგებლობენ ოთახის დამქირავებელნი, შეიძლება მიემატოს კიდევ 20 პროცენტი.

**შენიშვნა:** საჭირო ავეჯათ ითვლება: კრაოტი, ან ტახტი, სკამები, მცხოვრებლებთა რიცხვის მიხედვით, ერთი სასადილო სტოლი და საწერი მაგიდა, პირის საბანი, ტანისამოსის შკაფი, კამოდი, წიგნების შკაფი ან ეტაჟერკა.

4) როცა მესამე მუხლში აღნიშნულ ავეჯზე მეტით სარგებლობენ ფასის შესახებ ურთიერთ შეთანხმება უნდა მოხდეს, უკეთუ ეს ავეჯი აუცილებლათ საჭირო ავეჯის მაგიერობას არ ასრულებს, ამ უკანასკნელ შემთხვევაში ფასს მეორე მუხლის თანახმათ იხდიან.

5) გათბობა განათებისთვის იხდიან იმდენს, რამდენიც ნამდვილათ ღირს ეს. პროპორციონალურ პრინციპის თანახმად, როგორც ეს არის ამ დადგენილების მეორე მუხლში აღნიშნული.

6) ვანით სარგებლობისათვის თვითოეულზე უნდა გადაიხადონ თვეში არა უმეტეს ორი მანეთისა.

7) სამზარეულოთი სარგებლობისთვის საჭმელის მოსახარშათ უნდა გადაიხადონ არა უმეტეს 10 მანეთისა ხოლო როცა სხვა რამესთვის სარგებლობენ სამზარეულოთი ამისთვის ფასი არ უნდა გადაიხადონ.

**შენიშვნა.** თუ სამზარეულოთი სარგებლობენ საცხოვრებლათ მეორე მუხლის თანახმად იხდიან ფასს.

8) სამოვრით სარგებლობისთვის იხდიან არა უმეტეს 6 მანეთისა თვეში თვითოეულ სამოვარზე.

9) ხელზე მოსამსახურეთა შრომით სარგებლობისთვის იხდიან 2 და 3 მუხლში აღნიშნულ ფასის 20 პროც.

10) ამ დადგენილების ძალაში შესვლის დღიდან დამქირავებელს უფლება არა აქვს წაართვას დამქირავებელს ავეჯი, მოუსპოს სინათლე და გათბობა, აუკრძალოს სამზარეულოთი სარგებლობა და სხვა. უკეთუ უკანასკნელი სარგებლობდა ყველა ამით ამ დადგენილების ძალაში შესვლამდე.

11) ამ დადგენილების ძალაში შესვლის დროს დანიშვნა ევალება თფილისის ქალაქის გამგეობას

12) ამ დადგენილების დარღვევისთვის 29 სტ. ძალით პასუხისგებაში იქნებიან მიცემული.

13) ამ დადგენილების სისრულეში მოყვანას თვალყური უნდა ადევნონ სა...ლის კომიტეტებმა.

ეს დადგენილება ძალაში შედის 10 აპრილიდან.

(2—2) თფილისის ქალაქის გამგეობა.

## მოწოდება

ძვირფასო ამხანაგებო!

შეუსაბამო საგამომცემლო პირობების გამო პირველი იანვრიდან არსებობა შესწყვიტა ჩვენმა საყვარელმა ჟურნალმა „ეშმაკის მათრახმა“. „ეშმაკის მათრახი“ აღარ გამოდის, მაგრამ მისი ხანგრძლივი შეწყვეტა შეუძლებელია. „ეშმაკის მათრახმა“ უნდა იარსებოს. ამას გრძნობს ყველა ჩვენგანი. საჭიროა მხოლოდ ეს გრძნობა კიდევ გავაღვივოთ და ჟურნალის განახლების საქმე სინამდვილეთ ვაქციოთ.

მრავალი წერილები მოგვდის ამხანაგებისა და თანამგრძნობებისაგან: ყველანი ერთხმათ მოითხოვენ ჟურნალის გამოცემის განახლებას და მზათ არიან სათანადო დახმარებაც აღმოუჩინონ მას.

ჩვენც სიამოვნებით ვეგებებით ამ კეთილშობილ სურვილს „ეშმაკის მათრახის“ მკითხველებისას და ვკისრულობთ საჭირო ფონდის შედგენას, ურომლისოდ ჟურნალის გამოცემა ყოვლად შეუძლებელია.

ძვირფასო ამხანაგებო! თქვენზეა დამოკიდებული „ეშმაკის მათრახის“ განახლების საქმე. მაშ ნუ დააყოვნებთ დახმარებას.

ფულის მოკლე ანგარიშები დაიბეჭდება გაზეთ „ერთობა“-ში, ხოლო სრული სია შემომწირველთა გამოქვეყნდება თვით „ეშმაკის მათრახის“ ფურცლებზე.

ფული და ყოველგვარი მიწერ-მოწერა უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:

Тифлисъ редакція „Эртоба“ почт. ящ. № 199 для „Эшмакисъ Матрахи“.

ამხანაგური სალამით „ეშმაკის მათრახი“-ს ფონდის გამაძლიერებელი კომისია.


Во вторник 6 февраля вышел первый номер соціал-демократической газеты

# „БОРЬБА“

В газетѣ принимают участіе: А. Азатян, Воевада, Гальперин, Гепштейн, проф. Городенскій Н. Жорданія, И. Жорданія, Ишков, Г. Коніев, Кремер, Козлов, Л. Натадзе, Н. Рамишвили, М. Смирнов, Трейман, А. Туманов, Успенская, Н. Цинцадзе, К. Чхеидзе, Д. Шарашидзе и др.

Подписка принимается в конторѣ газеты: пассаж Манташева (Дворцовая площадь, против штаба) а также въ Тифлисском комитетѣ Р. С.-Д. Р. П. (Головинскій 12 во дворѣ) и во всѣх районных коллективах.

Подписная цѣна: 1 год—40 р., 6 мѣс.—24 р. и 1 мѣс.—4 р.


ამხ. წერეთლის სტამბა რუსთაველის, გამჭედის შესახვევი, № 1.